

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი
2019 წელი 26 ივლისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
განმარტებითი შენიშვნები
დასკვნის ბოლო გვერდი

i-iv
1
2
3
4
5
36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“
პარტნიორებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორისა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დავინიშნეთ 2018 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვარს, როგორც შენიშვნა 7-შია აღრიცხული, შესაბამისად, 527 ათასი ლარი, 504 ათასი ლარი და 556 ათასი ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2018 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთზე პირობითია.

ჩვენ ვერ შევძელით დავგვედგინა კომპანიის მიერ საკუთარ თანამშრომლებზე გაცემული საქვეყნოგარიშო თანხების მიზნობრიობა და რეალური ღირებულება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2018 წლის 31

დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს, როგორც შენიშვნა 9-შია აღრიცხული, შესაბამისად, 189 ათასი ლარი, 83 ათასი ლარი და 50 ათასი ლარი.

აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა იყო თუ არა რაიმე კორექტირება საჭირო შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის საბალანსო ღირებულებებთან მიმართებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, არსებულ ნაშთზე მოსაზრება პირობითია.

ჩვენ აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელიც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით «აუდიტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე». ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს «პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის» (IESBA Code) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძველის შესაქმელად.

სხვა საკითხების პარაგრაფი

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება შეამოწმა სხვა აუდიტორმა, რომელზეც 2018 წლის 31 მარტს გამოხატა არამოდიფიცირებული მოსაზრება ხსენებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ მოვახდინეთ 2016 და 2017 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების შესადარისი მონაცემების აუდიტი.

კომპანიის წლიურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიშგები ჩვენთვის ხელმისაწვდომი, წინამდებარე აუდიტორის დასკვნის შემდეგ გახდა.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს ამგვარი ინფორმაცია სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა სანარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადონ ფუნქციონირებად სანარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი სანარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს, გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი, ISA-სთან შესაბამისად, აუდიტის პროცესში ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/ უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავადგინოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვადგენთ და ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულებას;
- ვადგენთ და ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი სანარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი

ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფინქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შიანაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისს გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულის საქმიანობების ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად, ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხების განხილვა ხელმძღვანელობასთან არ მომხდარა.

კომპანიის ხელმძღვანელობას მივანდით განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივანდით ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

სხვა საკითხებთან ერთად ხელმძღვანელობას/პარტნიორთა საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მაშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

« ორინჯ გრუპი » - ფინანსები
მართველი პარტნიორი: ნოდარ ქოქიაშვილი

2019 წლის 26 ივლისი
თბილისი, საქართველო




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,334,397	1,763,731	889,772
არამატერიალური აქტივები		50,785	46,535	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,385,182	1,810,266	889,772
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	527,145	504,933	556,588
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,639,458	1,887,985	1,652,850
გადახდილი ავანსები	8	1,019,176	66,688	81,724
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	9	189,147	83,860	49,954
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,558,703	35,961	653,835
სულ მიმდინარე აქტივები		4,933,629	2,579,427	2,994,951
სულ აქტივები		6,318,811	4,389,693	3,884,723
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	948,900	948,900	901,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	11	(1,060,704)	(1,759,069)	(121,717)
სულ კაპიტალი		(111,804)	(810,169)	779,283
ვალდებულებები				
საეაჭრო ვალდებულებები	12	4,093,157	2,811,681	756,258
გადავადებული შემოსავალი	13	1,503,565	701,653	2,196,245
საგადასახადო ვალდებულებები		511,526	701,693	17,797
ლიზინგის ვალდებულება		280,615	680,182	82,545
მიღებული სესხები	14	41,752	304,653	52,595
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,430,615	5,199,862	3,105,440
სულ ვალდებულებები		6,430,615	5,199,862	3,105,440
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,318,811	4,389,693	3,884,723

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 26 ივლისს

ხელმოწერილი პირები:


 ირაკლი ჭკადუა
 აღმასრულებელი დირექტორი


შენიშვნები გვერდებზე 5-36 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე i-iv.

სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	15	16,208,350	17,214,194
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(15,180,461)	(17,313,910)
საერთო მოგება		1,027,889	(99,716)
სხვა შემოსავალი	15	824,195	133,391
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(874,430)	(1,084,882)
სატენდერო ხარჯები	18	(161,861)	(193,702)
სხვა საგადასახადო ხარჯი		(2,036)	(16,059)
საოპერაციო მოგება		813,757	(1,260,968)
ლიზინგის ხარჯი		(27,360)	(40,321)
საჯარიმო ხარჯი	19	(57,142)	(178,916)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(29,528)	(16,055)
სხვა წმინდა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი		(1,247)	(22,977)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		698,480	(1,519,237)
მოგების გადასახადი	20	(15)	(1,115)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		698,465	(1,520,352)

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 26 ივლისს

ხელმოწერი პირები:



ირაკლი ჭკადუა
აღმასრულებელი დირექტორი

კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი, 2017		901,000	(121,717)	779,283
საწესდებო კაპიტალი		47,900	-	47,900
პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	(1,520,352)	(1,520,352)
გაცემული დივიდენდი	11	-	(117,000)	(117,000)
31 დეკემბერი, 2017		948,900	(1,759,069)	(810,169)
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
პერიოდის მოგება		-	698,465	698,465
გაცემული დივიდენდი	11	-	-	-
31 დეკემბერი, 2018		948,900	(1,060,604)	(111,704)

შენიშვნები გვერდებზე 5-36 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე i-iv.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	შენიშვნები	2018	2017
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		20,956,640	18,475,365
კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(16,236,896)	(14,653,945)
გადახდილი ხელფასები		(1,352,766)	(2,750,751)
გადახდილი გადასახადები		(812,878)	(1,178,866)
საქვანგარიშოდ გაცემული ფულადი სახსრები		(289,117)	(389,471)
საქვანგარიშოდ გაცემული თანხების უკან დაბრუნება		86,989	288,469
გადახდილი საკომისიო გადასახდელები		(11,512)	(11,806)
მიღებული აგანსები		28,261	(24,773)
დაბრუნებული დებიტორული დავალიანება		14,016	8,710
სხვა ფულადი (გადახდები)/შემოსულობები		(4,364)	(15,667)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		2,378,373	(203,190)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,244)	(126,169)
ლიზინგის ვალდებულების შემცირება	(489,358)	(323,831)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან	(496,602)	(450,000)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან

მიღებული სესხის დაბრუნება		(285,000)	(73,897)
გადახდილი პროცენტი	21	(74,028)	(152,538)
მიღებული სესხები		-	300,000
გაცემული დივიდენდები		-	(111,150)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	47,900
დამფუძნებლის მიერ თანხის შემოტანა		-	25,000
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობებიდან		(359,028)	35,315
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,522,743	(617,874)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში		35,961	653,835
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლო	10	1,558,703	35,961

შენიშვნები გვერდებზე 5-36 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-11.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ შექმნილია „მეწარმეთა შესახებ კანონისა“ და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე 2007 წლის 3 მაისს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას N 71, სართული 3, ბლოკი 8, ფართი 17.

2017 წლის 3 ნოემბერს ფ/პ ირაკლი ჭკადუამ შეიძინა შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“. ამავე წლის 29 ნოემბერს კომპანია გადასცა შპს „ევორდ ჰოლდინგს“.

კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „ევორდ ჰოლდინგი“ (404505629)

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ირაკლი ჭკადუა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჰიდროტექნიკური მშენებლობა, მდინარის ნაპირსამაგრი და დამცავი ნაგებობების მშენებლობა, სატრანსპორტო გზის მშენებლობა და გვირაბმშენებლობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაინერგება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.0701	3.1044	2.7940

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-4 შენიშვნებშია განხილული.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) პირველი მიღება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ანგარიშგებას.

შესაბამისად, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული IFRS სტანდარტების მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შედარებადი პერიოდის მონაცემებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 23-ე ახსნა-განმარტებითი შენიშვნა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების განწევრიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან/რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს განწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, განწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ თუ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ა) შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავლები (ამონაგები) და დანახარჯები უნდა აღიარდეს ამონაგებისა და ხარჯების სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით პროპორციულობის მეთოდით.

კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე პროპორცია განისაზღვრება და შემოსავალი აღიარდება, როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები შეთანხმდება კომპანიასა და დამკვეთს (შემდგომში - «მხარეები») შორის. მხარეები ეტაპობრივად წლის განმავლობაში აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს შესრულებული სამუშაოების შესახებ, სადაც განსაზღვრულია კომპანიის შესრულებული სამუშაოს მიხედვით ასაღიარებელი შემოსავალი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტებზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასაწევი ხარჯის რაოდენობა, რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი.

ცვლილებები კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოებში, საპრეტენზიო თანხები და წამახალისებელი ანაზღაურებები შემოსავლები (ამონაგების) თანხაში გაითვალისწინება იმ მოცულობით, რა ოდენობითაც დამკვეთისგან მოსალოდნელია აღნიშნული თანხების მიღება და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

თუ შეუძლებელია სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება, კომპანია აღიარებს ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ საკონტრაქტო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და საკონტრაქტო დანახარჯების ხარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი განხორციელდა. საკონტრაქტო დანახარჯების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი განწევა. თუ კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელია ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად. სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს: ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტთან, ბ) დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო საქმიანობისთვის და შესაძლებელია მისი მიკუთვნება კონკრეტულ კონტრაქტზე და გ) ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დამკვეთს ერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანახარჯები შეიძლება შემცირდეს მოსალოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად, რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული. კომპანია სამშენებლო ზედნადები დანახარჯების განაწილებას ახორციელებს სისტემატურად და რაციონალურ საფუძველზე. შერჩეული მეთოდი გამოიყენება მუდმივად ყველა

ანალოგიური ტიპის დანახარჯისთვის. ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისთვის, როდესაც განუღივრებული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშების თანხის ჯამს, კომპანიას წარმოეჩნება დამკვეთისგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში. როდესაც შუალედური ანგარიშების თანხა აღემატება განუღივრებული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგება და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხას, კომპანიას წარმოეჩნება დამკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომელიც ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

დამკვეთის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ზედმეტად გადახდილ თანხებს კომპანია აღრიცხავს როგორც ვალდებულებას კონტრაქტებიდან ან როგორც მიღებულ ავანსს.

შემოსავლები განუღივრებული მომსახურებებიდან აღიარდება დროის გასვლის შემდეგ გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით, რათა კომპანიამ შეაფასოს მომსახურების სრულად შესრულების პროგრესი, რადგან დამკვეთი იღებს კომპანიის მიერ შეთავაზებულ სარგებელს.

კომპანია განიხილავს არსებობს თუ არა ხელშეკრულებაში სხვა დაპირებებიც, რომლებიც განცალკევებულია შესასრულებელი მოვალეობისგან, რომელზეც უნდა გადანაწილდეს ოპერაციის ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები და სხვა).

ბ) შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება როდესაც დამკვეთს/მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

გ) შემოსავალი იჯარიდან

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს მოძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს.

დ) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი- დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ შესრულდა შესაბამისი მომსახურება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღიარებულია მათ თავდაპირველი თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა ან/და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხის სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელად, კომპანია ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომამუშაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯების აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული

შემოსავლების ანგარიშგებაში. აღრიცხული ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე, შემდეგნაირად:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	3-5
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5

ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებას. აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველი აღიარება ამა თუ იმ ძირითად საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელობის ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან განხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან ზარალი (როემლიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებული წმინდა შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივების აღიარების შეწყვეტა. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთა დაირიცხება იჯარის ყველაზე მოკლე ვადის და მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სანამ გონივრულ ფარგლებში არ გახდება აშკარა, რომ კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის მასზე საკუთრების უფლებას მიიღებს.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება სასარგებლო გამოყენების ვადა გადაისინჯება. ყოველი საანგარიშგებო თარიღით და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

მშენებლობის პროცესში უშალოდ მონაწილე ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯებს და აღირიცხება, როგორც რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება (თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგი გაიყიდა) ან როგორც სასაქონლო - მატერიალური მარაგები (თუ წართებული სასაქონლო მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (ხე-ე შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ ფლობელებზე გადანაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომლებიც იანგარიშება გადანაწილებული წმინდა მოგების თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში რომელშიც დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდის გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელისათვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომელშიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლების ანგარიშგების აღმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (“დღგ”)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადი, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადი აღიარება აქტივის შესყიდვის ნაწილად ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელი ან მათგან დასაბუთებული ბრუნვიდან გადასახადის ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება გადასახადის გადახდის წესთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადანაცვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფულის ძირითადი მიზანია სამშენებლო პროექტების რეალიზირება;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი

გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურების გაწევა/ეკონომიკური სარგებლის მიღება;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადაზე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში პეჩირებისთვის. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დახარჯები, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აღრიცხულია მოგებასა და ზარალში.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, რომლებიც ბასს 39-ის თანახმად სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას მიეკუთვნება. სესხები და მისაღები ანგარიშები არის არანაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით.

ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რამე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევაღლე ან მევაღლეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ არის გაწეული). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ვრცელდება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება

გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება ფინანსურ საქმიანობაზე განეული დანახარჯების ნაწილის კრედიტში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიან ღირებულებით შეფასებული და სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და პროცენტიანი სესხები.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება-ზარალის აღიარება ხორციელდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე განეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ კაპიტალიზდება და დანახარჯები აისახება იმ პერიოდის სრულ შემოსავალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯი გაიწია.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა 3 წლიდან 5 წლამდეა.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები

დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში. ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამითვე ან უფრო ნაკლებია. ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. სხვა შემთხვევაში ფულადი სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ფულადი ნაკადები ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გაღინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოვლის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადანაცვლებელია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დიკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ასახავს ამ ვალდებულებისათვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე განეული დანახარჯების ნაწილი.

საგარანტიო ანარიცხები და დაკავშირებული აქტივი

კომპანია გასცემს გარანტიებს განეული სამშენებლო სამუშაოებზე/მომსახურებებზე სამშენებლო პროექტების სპეციფიკიდან გამომდინარე შეუსაბამო სამშენებლო სამუშაოების რისკების დასაფარად. ამ რწმუნებულების მსგავს გარანტიებთან დაკავშირებით ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გაენევა ამგვარი სამშენებლო სამუშაოები. თავდაპირველი აღიარება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. თავდაპირველად შეფასებულ გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები ყოველწლიურად გადაისინება.

კომპანია განცალკევებით აღიარებს გარანტიასთან დაკავშირებულ აქტივს, საგარანტიო ანაზღაურების უფლების აღრიცხვის მიზნით, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად განხორციელებადია.

იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, გარიგება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარა დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეულ აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არის განსაზღვრული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად იჯარის საწყისი თარიღით. იჯარა, რომელიც კომპანიას გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ტონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსური დანახარჯებისა და საიჯარო ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე განეული დანახარჯების სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირეს ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად, საოპერაციო იჯარის გადასახადის აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს. რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან

დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9, ამ ახალ სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი

ფასს (IFRS) 15 „შემოსავლები დამკვეთთან/მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში, და შეიცვალა 2016 წლის აპრილში, და განსაზღვრავს ხუთ-საფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც სანარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 11-ს (სამშენებლო ხელშეკრულებები), ბასს 18-ს (შემოსავალი) და შესაბამის ინტერპრეტაციებს და ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ფასს 15 კომპანიებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

კომპანიამ გამოიყენა შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. თუმცა, ამ სტანდარტის მიღებას არ ჰქონია არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი) ჩათვლით. კომპანიამ მე-10 შენიშვნაში წარმოადგინა როგორც მიმდინარე, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია.

ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“ განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას არ აქვს დასაბეგრი მოგება ახალი საგადასახადო მოდელის შემოღების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდში ჯერ არ შესულა ძალაში და რომელიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ქვემოთ მოცემული სტანდარტები, რომლებიც, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენენ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება:

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

კომპანია მიიღო ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლისთანავე სავალდებულო თარიღისთვის და შესაბამისად მოახდინა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება. ზოგადად, კომპანიაზე ფასს 9-ის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს კომპანია ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, კომპანია მოეღოს, რომ ეს აქტივები ფასს 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

კომპანიამ გააანალიზა ამ ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. ამიტომ ამ ინსტრუმენტების ხელახლა კლასიფიკაცია სავალდებულო არ არის.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. კომპანია გამოიყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. კომპანია არ მოეღოს მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, რადგან მისი სესხები და მისაღები ანგარიშები არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად იგი ჩაატარებს დამატებით დეტალურ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონია ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიან შედეგებზე :

- ფასიკ 22-ის ინტერპრეტაცია « ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსებად »
- ცვლილებები ბასს 40-ში « საინვესტიციო ქონების გადატანა »
- ცვლილებები ფასს 2-ში « აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება »
- ცვლილებები ფასს 4-ში « ფასს9-ის « ფინანსური ინსტრუმენტები » გამოიყენება ფასს 4-თან « სადაზღვევო ხელშეკრულებები » ერთად ;
- ბასს 28-ის ცვლილება « ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივი საწარმოებში »-განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტოს სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს ;
- ფასს 1-ის ცვლილება « ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება »- მოკლევადიანი გამოწვევების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS) 16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვრს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს (IFRS) 16-ზე გადასვლა

კომპანია გეგმავს ფასს 16-ის რეტროსპექტიულად მიღებას, ყველა წინასაანგარიშგებო პერიოდისთვის. კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს 17 და ფასიც 4-ის გამოყენებით.

საანგარიშგებო თარიღში, კომპანიამ ჩაატარა ფასს 16-ის გავლენის წინასწარი ანალიზი და შეაფასა, რომ 2019 წლის 1 იანვარის მდგომარეობით გამოყენების მქონე აქტივები გაიზრდება 68.000 ლარით და შესაბამისი ვალდებულებებიც იგივე თანხებით გაიზრდება.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსური ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შემოსავლის აღიარება - სამშენებლო პროექტის დასრულება და გადაცემა

კომპანია გასწევს სამშენებლო სამუშაოების მომსახურებებს, რომლებიც სამშენებლო პროექტის ფარგლებში სრულდება. გაწეული მომსახურებები მომავალში მომსახურების გადაცემის დაპირებას და კომპანიისა და დამკვეთს შორის შეთანხმებული მომსახურების გაწევის შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს.

კომპანიამ განსაზღვრა, რომ საქონელი და მომსახურებები შესაძლოა განცალკევებადი იყოს. ფაქტი, რომ კომპანია საქონლისა და მომსახურების გასაყიდ ფასებს ცალკეადა აღრიცხავს საფუძველზე იმავე მეთოდებს, რომ კლიენტმა შესაძლოა ორივედან მიიღოს სარგებელი. შესაბამისად, კომპანიის გარიგების ფასის ნაწილი გადაიანაწილა საქონლის გაყიდვაზე და მომსახურების გაწევაზე განცალკევებული ფასების მიხედვით. კომპანია ტენდერის პროექტების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ხელშეკრულების დაწყებისას თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისათვის განსაზღვრავს განცალკევებულ გასაყიდ ფასს, რომელიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და გარიგების ფასს ანაწილებს ამ განცალკევებული გასაყიდი ფასების პროპორციულად.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობა საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად

გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანიის მიერ რეგულარულად ხდება მისაღები ანგარიშების გადახედა გაუფასურებასთან მიმართებაში. კომპანია განსჯის საფუძველზე აფასებს გაუფასურების ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ვალდებულებების ამოღება გვიანდება. ვინაიდან კომპანიის ისტორიული მონაცემები არ მოიპოვება, ხელმძღვანელობა ეყრდნობა დავალიანების ამოღების ბოლოდროინდელ გამოცდილებას იმისათვის, რომ შეაფასოს მოსალოდნელი ზარალი საკრედიტო რისკის მქონე აქტივებზე.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანიის ხელმძღვანელობამ საქმიანობის შეფასების საზომად წარმოადგინა EBITDA, რადგან ის ამ მაჩვენებელს მონიტორინგს უწევს და მიაჩნია, რომ ეს საზომი რელევანტურია კომპანიის ფინანსური შედეგების შეფასებისთვის. EBITDA გამოითვლება მოგების დაკორექტირებით ისე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული გადასახადის გავლენა, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული წმინდა დანახარტები, ცვეთა, ამორტიზაცია, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი და სხვა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯი. ფასს არ განსაზღვრავს EBITDA-ს, როგორც შედეგების საზომს. კომპანიის მიერ EBITDA-ს განმარტება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა სანარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

კორექტირებული EBITDA-ს შეჯერება წლის ზარალთან ასე გამოიყურება:

	2018	2017
წლის მოგება/ზარალი	698,465	(1,520,352)
მოგების გადასახადი	(15)	(1,115)
მოგება/ ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	698,480	(1,519,237)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	(435,223)	(411,235)
სატენდერო ხარჯები	(161,861)	(193,702)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარტები	(56,376)	(56,888)
EBITDA	1,190,099	(857,412)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ნაგებობები- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	მანქანები	სულ
ღირებულება						
ბალანსი 01/01/ 2017	84,140	160,902	411,922	89,080	1,925,256	2,671,300
მატება	-	372,881	55,980	1,785	854,663	1,285,309
ჩამონერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	84,140	533,383	467,902	90,865	2,779,918	3,956,608
მატება	-	-	5,889	-	-	5,889
ჩამონერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	84,140	533,783	473,791	90,865	2,779,918	3,962,497
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 01 იანვარი 2017	-	(45,558)	(297,074)	(77,438)	(1,359,457)	(1,781,527)
ცვეთის ხარჯი	-	(19,855)	(77,666)	(8,732)	(305,097)	(411,350)
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	-	(67,413)	(374,740)	(86,170)	(1,664,554)	(2,192,877)
ცვეთის ხარჯი	-	(36,967)	(61,106)	(3,372)	(333,778)	(435,223)
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	(104,380)	(435,846)	(89,542)	(1,998,332)	(2,628,100)
ნარჩენი ღირებულება						
01 იანვარი 2017	84,140	113,344	114,848	11,642	565,798	889,772
31 დეკემბერი 2017	84,140	466,370	93,162	4,695	1,115,364	1,763,731
31 დეკემბერი 2018	84,140	429,403	37,945	1,323	781,586	1,334,397

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ ძირითადი საშუალებები - ავტომობილები და მიწის ნაკვეთები საგურამოსა და ქვემო ალექსეევის დასახლებაში დატვირთულია გირავნობით. 2016-2017 წლებში საბანკო გარანტიების უზრუნველყოფის სახით ასევე გირავნობით დატვირთული იყო დამფუძნებლების პირადი ქონებებიც.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
ნედლეული და მასალები	527,145	504,933	556,588
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	527,145	504,933	556,588

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არის 8,923,290 ლარი (2017 წლის 31 დეკემბრისთვის 2,420,634 ლარი), რაც გამოწვეულია, 2018 წელს ქვეკონტრაქტორებზე გაწეული ხარჯების ზრდით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება მხოლოდ ერთი სახის მოთხოვნისგან პერიოდების შესაბამისად შემდეგი ნაშთით (სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები პერიოდის ბოლოს უდრის ნულს):

საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,639,458	1,887,985	1,652,850
სულ საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,639,458	1,887,985	1,652,850

კომპანიას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს გრძელვადიანი პერიოდით. რადგან კომპანიის შემოსავლები სახელმწიფო ტენდერებიდან გენერირდება, მენეჯმენტი არ ფიქრობს, რომ მათი საგაჭრო მოთხოვნები გაუფასურდება.

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება მხოლოდ ერთი სახის მოთხოვნისგან პერიოდების შესაბამისად შემდეგი ნაშთით:

გადახდილი ავანსები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
მომწოდებლებისთვის წინასწარ ჩარიცხული თანხები	1,019,176	66,688	81,724
სულ გადახდილი ავანსები	1,019,176	66,688	81,724

9. მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ

კომპანია თავის თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემს თანხებს სხვადასხვა დანიშნულებით. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას უფიქსირდებოდა შემდეგი ნაშთები:

მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	189,147	83,860	49,954
სულ მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	189,147	83,860	49,954

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	13	12,223	10,465
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	1,558,690	23,738	643,368
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	-	-	2
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,558,703	35,961	653,835

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სს „პაპა ბანკში“ უფიქსირდება ბლოკირებული თანხა 1,273,035 ლარის ოდენობით.

11. კაპიტალი

2008 წლის 5 ნოემბერს დათარიღებული კომპანიის წესდების და სარეგისტრაციო დოკუმენტების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 901,000 ათასი ლარით. 2017 წლის 3 ნოემბერს, კომპანიის შესყიდვის შემდეგ მოხდა საწესდებო კაპიტალის ზრდა 47,900 ლარით.

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა შემდეგი დივიდენდები:

გადასახდელი დივიდენდები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
გადასახდელი დივიდენდები, 1 იანვარი	-	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	-	117,000	-
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	-	117,000	-
სულ გადასახდელი დივიდენდები	-	117,000	-

გამოცხადებული და გაცემული დივიდენი უკავშირდება 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში რეალიზირებულ მოგებას.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
ქვეკონტრაქტორები	2,902,083	464,060	250,180
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	780,119	1,627,315	240,941
გადასახდელი ხელფასები	266,235	386,083	143,452
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	144,719	334,223	121,684
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,093,157	2,811,681	756,258

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ იკვეთება.

13. გადავადებული შემოსავალი

კომპანიის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ტენდერები, რომლის ხარანგრძლივობაც ძირითადად ერთ წელზე მეტხანია. გადავადებული შემოსავლების ოდენობა წლების მიხედვით შემდეგნაირია:

გადავადებული შემოსავალი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
დამკვეთებისგან მიღებული ავანსები	1,503,565	701,653	2,196,346
სულ გადავადებული შემოსავალი	1,503,565	701,653	2,186,246

14. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
რეზიდენტი კომერციული ბანკების სესხები USD	-	-	52,595
ფიზიკური პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები GEL	15,000	300,000	-
სულ მიღებული სესხები	15,000	300,000	52,595
გადასახდელი პროცენტი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	01-იან-2017
რეზიდენტი კომერციული ბანკების სესხები	-	-	-
ფიზიკური პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები GEL	26,752	4,653	-
სულ გადასახდელი პროცენტი	26,752	4,653	-

მიღებული სესხები ვადიანობის მიხედვით	1_წლამდე	1_დან 5 წლამდე	5_წელზე ზევით
ფიზიკური პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები GEL	15,000	-	-
ფიზიკური პირებიდან ნასესხებ სახსრებზე გადასახდელი პროცენტი GEL	26,752	-	-
სულ მიღებული სესხები ვადიანობის მიხედვით	41,752	-	-

2017 წლის 12 ოქტომბერს კლიენტმა ფ/პ თემურ ბაზაძისგან აიღო სესხი 300,000 ლარის ოდენობით. 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მხოლოდ მიღებული სესხის ძირის შემცირება, შესაბამისად საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება შემცირებულ ძირზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5 ძირითადი საშუალებები.

15. შემოსავალი

შემოსავალი	2018	2017
შემოსავალი შესრულებული სამუშაოებიდან	16,208,350	17,214,194
შემოსავალი ტექნიკის გაქირავებიდან	824,195	133,391
სულ შემოსავალი	17,032,545	17,347,585

იმისათვის რომ განსაზღვროს შესაბამის პერიოდში ასაღიარებელი შემოსავალი, კომპანია იყენებს საკონტრაქტო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდს. კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე პროპორცია განისაზღვრება და შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები შეთანხმდება კომპანიასა და კლიენტს (შემდგომში - „მხარეები“) შორის

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გასაყიდი პროდუქციის თვითღირებულება	2018	2017
ქვეკონტრაქტორებზე განეული ხარჯები	10,786,484	3,235,227
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,420,636	8,923,290
დაქირავებულ მუშაკთა ანაზღაურება	1,050,184	3,084,371
ტრანსპორტის ღირის ხარჯი	512,568	1,675,747
ცვეთა და ამორტიზაცია	394,884	382,763
ელექტრო ენერგიის ხარჯი	5,705	12,512
სულ გასაყიდი პროდუქციის თვითღირებულება	15,180,461	17,313,910

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
შრომის ანაზღაურება	505,757	660,054
რემონტის ხარჯი	180,500	180,916
ოფისის იჯარის ხარჯი	115,323	140,762
ცვეთა და ამორტიზაცია	40,339	28,587
დაზღვევის ხარჯი	13,068	4,059
მიწის ნაკვეთის ხარჯი	9,004	42,330
კომუნიკაციის ხარჯი	4,201	5,988
კომუნალური ხარჯი	2,755	2,991
საკონსულტაციო ხარჯი	2,083	1,821
სხვა ხარჯი	1,401	17,343
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	874,430	1,084,882

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს შრომის ანაზღაურება.

18. სატენდერო ხარჯები

სატენდერო ხარჯები მოიცავს ტენდერში მოგებული ხელშეკრულების შესრულების დროს მოთხოვნილ აუცილებელ გადასახადებს. თანხები ძირითადად შეადგენს ადგილობრივ კომერციულ ბანკებში განთავსებული საგარანტიო თანხების საპროცენტო გადასახდელებს.

19. საჯარიმო ხარჯები

საჯარიმო ხარჯები მოიცავს გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევების მიერ წარმოქმნილ ხარჯებს. დარღვეული პირობები ძირითადად გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადაცდენის გამო.

20. მოგების გადასახადი

გადავადებული გადასახადების ანალიზი დროებითი სხვაობების ტიპების მიხედვით ფასს-სა და საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით განსხვავებებს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შორის ფინანსურ და საგადასახადო მიზნებისთვის დათვლილ ღირებულებებს.

საგადასახადო ეფექტი დროებითი სხვაობების მოძრაობაში 31 დეკემბრისთვის 2016 წელს უტოლდება ნულს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი/პასივი ამოღებულია 2017 წელს.

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენებს, შესაბამისად მოხდა მათი ელიმინაცია ანგარიშგებიდან.

21. გადახდილი პროცენტი

გადახდილი საპროცენტო ხარჯების უდიდეს ნაწილს შეადგენს საბანკო გარანტიებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯები. დეტალურად საპროცენტო ხარჯების შესახებ, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა.

22. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები, აქტივები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად. მიმდინარე საგადასახადო დავა ბალანსის შემდგომ მოვლემებშია დეტალურად აღწერილი.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქონლოს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოღებების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

საბანკო გარანტიები

კომპანია ტენდერის შინაარსიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე თავის სამუშაოებს აზღვევს საბანკო გარანტიებით. 2016, 2017 და 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიას საბანკო გარანტიები ჰქონდა საქართველოში მოქმედ, საყოველთაოდ ცნობილ საკრედიტო დანესხებულებებში. წლების მიხედვით ნაშთები შემდეგია:

31/12/2017 სს ვითიბი ბანკი ჯორჯია

სესხის თანხა	ვალუტა	ნაშთი 31/12/2017	დარიცხული პროცენტი 31/12/2017	2017 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი
68,082	GEL	68,082	231	306
14,081	GEL	14,081	-	-
162,385	GEL	162,385	71	71
649,540	GEL	649,540	71	71
894,088		894,088	373	448

31/12/2018 სს ვითობი ბანკი ჯორჯია

სესხის თანხა	ვალუტა	ნაშთი 31/12/2017	დარიცხული პროცენტი 31/12/2017	2017 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი
162,385	GEL	162,385	71	6,495
198,173	GEL	198,173	76	1,732
360,558		360,558	147	8,227

31/12/2018 სს პაშა ბანკი საქართველო

სესხის თანხა	ვალუტა	ნაშთი 31/12/2017	დარიცხული პროცენტი 31/12/2017	2017 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი
396,347	GEL	396,347	109	3,290
396,347	GEL	396,347	33	3,290
79,500	GEL	79,500	51	601
352,500	GEL	352,500	184	2,656
48,342	GEL	48,342	26	323
73,583	GEL	-	-	213
1,346,619		1,273,036	403	10,373

2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას სს “თიბისი“ ბანკში საბანკო გარანტიის სახით ნაშთი ჰქონდა 1,818,891 ლარი. პროცენტის სახით კი წლის განმავლობაში გადაიხადა 141,533 ლარი.

2018 წელს ნაშთი შეადგენდა 301,598 ლარს. გადახდილი პროცენტი კი 36,058 ლარს.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმავე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა თავიდან აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში :

ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. კომპანიის ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი

ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან :

დეკემბერი 31, 2018

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საკონტრაქტო ვალდებულებები	4,093,157	-	-	4,093,157
ლიზინგის ვალდებულება	50,404	230,211	-	280,615
მოკლევადიანი სესხი	41,752	-	-	41,752
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,440,056	-	-	4,440,056

დეკემბერი 31, 2017

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საკონტრაქტო ვალდებულებები	2,811,681	-	-	2,811,681
ლიზინგის ვალდებულება	166,417	513,765	-	680,182
მოკლევადიანი სესხი	304,653	-	-	304,653
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,796,516	-	-	3,796,516

იანვარი 01, 2016

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საკონტრაქტო ვალდებულებები	756,258	-	-	756,258
ლიზინგის ვალდებულება	-	82,545	-	82,545
მოკლევადიანი სესხი	52,595	-	-	52,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	891,398	-	-	891,398

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი, არის რისკი, რომლის ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული სამეურნეო და ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები, მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10). მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შემზღუდელი თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2016, 2017 და 2018 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში

წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2016, 2017, 2018 წლებში მოცემულია ქვემოთ:

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

	2016	2017	2018
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.22	0.01	0.25
	2016	2017	2018
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი:	0.81	0.44	0.71
	2016	2017	2018
	0.99	0.55	0.80

კოეფიციენტების მიხედვით, ხელმძღვანელობის ცვლილების შემდეგ, კომპანიის მაჩვენებლები უმჯობესდება და უბრუნდება ლიკვიდურობის დამაკმაყოფილებელ დონეს, 2016 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებლებთან შედარებით. ლიკვიდურობის კოეფიციენტები აჩვენებს განვითარების დადებით დინამიკას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
 - პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
 - ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს; (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
 - ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
 - მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
 - დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.
- შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2018		2017		2016	
დაკავშირებული მხარე	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან						
შპს AWARD (ევორდი) გადახდილი ავანსები	250,421	1,639,458	-	1,887,985	-	1,652,850
შპს ევორდ ფექტორი	19,244	1,019,176	-	66,688	-	81,724
შპს ევორდ ტრანსპორტი	6,900	1,019,176	-	66,688	-	81,724
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ						
ჯვადუა ირაკლი	32,433	189,147	-	83,860	-	49,954
ხიდშელი დავითი	-	189,147	1,558	83,860	-	49,954
დანელია ალექსანდრე	-	189,147	1,001	83,860	912	49,954
ჭიჭინაძე თეიმურაზი	-	189,147	1,870	83,860	1,109	49,954
ჩალაძე ავთანდილი	-	189,147	-	83,860	272	49,954
ძირითადი საშუალებების შეძენ						
შპს AWARD (ევორდი)	-	5,889	372,881	1,285,309	-	419,535
დარიცხული ვალდებულებები						
შპს AWARD (ევორდი)	2,616,151	4,093,157	440,000	2,811,681	-	756,257
ირაკლი ჯვადუა	10,000	4,093,157	25,000	2,811,681	-	756,257
შპს ევორდ ფექტორი	-	4,093,157	12,901	2,811,681	-	756,257
შპს ევორდ ტრანსპორტი	-	4,093,157	-	2,811,681	-	756,257
ნასესხები სახსრები						
თეიმურაზ ბაზაძე	15,000	41,752	300,000	304,653	-	52,595
გადასახდელი პროცენტი	26,752	41,752	4,653	304,653	-	52,595
საწესდებო კაპიტალის ზრდა						
შპს ევორდ პოლდინგი	-	948,900	-	948,900	-	901,000
ლევან ჯვადუა	-	-	47,900	948,900	-	901,000
გამოცხადებული დივიდენდი						
შპს ევორდ პოლდინგი	-	-	-	-	-	102,000
ავთანდილ ჩალაძე	-	-	23,400	117,000	42,100	102,000
თეიმურაზ ჭიჭინაძე	-	-	23,400	117,000	14,975	102,000
დავით ხიდშელი	-	-	23,400	117,000	14,975	102,000
ალექსანდრე დანელია	-	-	23,400	117,000	14,975	102,000
ვასილ ჭინიყაშვილი	-	-	23,400	117,000	14,975	102,000
შესრულებული სამუშაოებიდან და ტექნიკის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი						
შპს AWARD (ევორდი)	862,179	17,032,544	27,428	17,347,585	-	-
შპს ევორდ ფექტორი	13,644	17,032,544	6,525	17,347,585	-	-
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება						
შპს AWARD (ევორდი)	8,335,750	14,785,577	581	16,931,147	-	-
შპს ევორდ ტრანსპორტი	109,415	14,785,577	-	16,931,147	-	-
მენეჯმენტის ხელფასი	311,750	1,555,941	273,703	3,744,426	-	-

24. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს მოთხოვნებისა და საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანია ბოლო საანგარიშგებო წლის მიხედვით მოგებაზეა და მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის სამეურნეო საქმიანობას მომავალშიც.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 26 ივლისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა:

- კომპანიამ გაფორმებული კონტრაქტების შესრულებით და ავანსის სახით კლიენტებისგან მიიღო 17,961,546 ლარი;
- შპს „სამშენებლო კომპანია მამისონმა“ აიღო სესხი 782,000 ლარის ოდენობით;
- კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები გადასცეს შპს „ევორდ ტრანსპორტს“, რომელიც დამფუძნებელიც კლიენტის მშობელი კომპანია შპს „ევორდ ჰოლდინგია“.
- კომპანიამ 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, წინასწარ, გასცა დივიდენდი 625,000 ლარის ოდენობით;
- შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა 2019 წლის 4 ივნისს შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს“ წარუდგინა საგადასახადო მოთხოვნა 668,173 ლარი. ვინაიდან მენეჯმენტი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოთხოვნას საჩივრით მიმართა შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოს. აღნიშნული დავის სტატუსი დასკვნის გამოცემის თარიღისთვის მიმდინარეა.